

ი. მაისაია<sup>1</sup>, გ. არაბული<sup>2</sup>,  
მ. ახალკაცი<sup>1</sup>, მ. ქოსულიშვილი<sup>2</sup>

### ქერის გამოყენება ყოფასა და ხალხურ მედიცინაში აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მთიან რეგიონებში

ქერი, *Hordeum vulgare* L., საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კულტურული მცენარეა. ი. ჯავახიშვილის განმარტებით (ჯავახიშვილი, 1930), საქართველოში ქრთილი უძველესი ხორბლეულის შემდეგ, ოდითგანვე უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს შორის. არქეოლოგიური გამოკვლევებით მტკიცდება, რომ ქერის კულტურა საქართველოში ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში იყო გავრცელებული. არქეოლოგიური ძეგლების გათხრისას, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ნაპოვნია ქერის განსხვავებული ფორმები (მაისაია და სხვ. 2005).

უძველეს ქართულ წერილობით დოკუმენტებში ქერი მოხსენიებულია ორი სახელით - "ქრთილი" და "ქერი". სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში (1928) ამ ორი სახელწოდების შემდეგი განმარტებაა მოცემული: "ქრთილი" - ქერის სამემოდგომო ნათესაო ხოლო "ქერი" - საგაზაფხულო. ხევსურეთში მცხოვრებ უხუცესთა გადმოცემით, "ქრთილი" ნიშნავს სამემოდგომო მრავალმწკრივიან ქერს; "ქერი"- საგაზაფხულო ორმწკრივიან ქერია. ეს მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში ძველად ორი განსხვავებული ქერი მოყავდათ, რომელთაგან ერთი შემოდგომაზე, ხოლო მეორე გაზაფხულზე ითესებოდა. ფაქტიურად, ქრთილი და ქერი სამემოდგომო და საგაზაფხულო ქერის უძველესი ქართული სახელწოდებაა. ამჟამად, ქართული სასაუბრო ლექსიკიდან სიტყვა "ქრთილი" სრულიად გაქრა და ქერის სახელით მოიხსენიება როგორც საგაზაფხულო, ისე სამემოდგომო ნათესაო ამის გარდა, მიწათმოქმედთა ლექსიკაში არსებობდა ქერის სხვა სახელწოდებები - საგაზაფხულო ქერს ხშირად "ახალ თესლს" უწოდებდნენ, რადგან მისი თესვით იწყებოდა ახალი სასოფლო-სამეურნეო წელი. შემოდგომის ქერი კი მოიხსენიება, როგორც "ძველ თესლი", რამდენადაც ის გვიან შემოდგომაზე ითესებოდა. ამდენად, ქერის სახელწოდების წარსულში თესვის ვადები განსაზღვრავდა (დეკაპრელევიჩი, 1938; მენაბდე, 1938).

ვ. მენაბდის (1938) და ლ. დეკაპრელევიჩის (1938) მიხედვით, საქართველოში კულტივირებული ქერის ყველა სახესხვაობა და ჯიში ერთ სახეობას მიეკუთვნება - *Hordeum sativum* Jess., რომელიც სამ ქვესახეობად იყოფა: 1) მრავალმწკრივიანი სამემოდგომო ქერი - *H. sativum* ssp. *vulgare* L. იგი წარმოდგენილია: ოთხრივიანი ქერით - *H. tetrastichum* Stokes და ექვსრივიანი ქერით - *H. hexastichum* L.; 2) ორმწკრივიანი საგაზაფხულო ქერი - *H. sativum* ssp. *distichum* L.; 3) შუალედური ქერი - *H. sativum* ssp. *intermedium* Nees et Orł. თითოეული ქვესახეობა რამოდენიმე სახესხვაობას შეიცავს. აღსანიშნავია ადგილობრივი ჯიშები: ძველთესლი, ანუ თეთრი ქერი, *H. tetrastichum* L. var. *pallidum* Ser., რომელიც ითესებოდა სვანეთში, რაჭაში, ლიახვის ხეობაში და თუშეთში (კეცხოველი, 1957); შუა ქერი, ძველ ქართულში - "ძველთესლ შავფხა", *H. tetrastichum* L. var. *nigrum* Willd. (მენაბდე, 1938), გავრცელებული იყო ენგურის, რიონის და ლიახვის ხეობებში (კეცხოველი, 1957); ახალთესლი, ან "მარტივი ქერი" - *H. sativum* ssp. *distichum* L. var. *nutans* Schindl. რომელიც ითესებოდა სვანეთში, რაჭაში, ლიახვის ხეობაში, თუშეთში, ერწო-თიანეთში და ფშავში (კეცხოველი, 1957) და სხვ.

<sup>1</sup> ნ. კეცხოველის სახ. ბოტანიკის ინსტიტუტი  
<sup>2</sup> საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ბოტანიკის განყოფილება





хлеба, пива, и как лекарственное растение. Необходимые шаги должны быть приняты для сохранения местных сортов ячменя.

I. Maisaia<sup>1</sup>, G. Arabuli<sup>2</sup>, M. Akhalkatsi<sup>1</sup>, M. Mosulishvili<sup>2</sup>

## USE OF BARLEY IN BEING AND FOLK MEDICINE IN MOUNTAIN REGIONS OF EASTERN AND SOUTHERN GEORGIA

### Summary

Barley, *Hordeum vulgare* L., is one of the oldest cultivated plants in Georgia. Many varieties have been distributed in different regions of Georgia. Nowadays, only small part of them remained cultivated on small grounds mainly in high-mountain regions, Khevsureti, Tusheti and Meskhet-Javakheti. In our opinion, this, on one hand, is determined by better adaptation of barley to severe environmental conditions of high-mountain regions, when compare with wheat. And, second, it is used in many traditional rituals by local population. Barley is used as forage and for food as bread and for production of beer. It is used, as well, in traditional folk medicine. Necessary steps have to be undertaken to collect aboriginal varieties and forms of barley and ensure their conservation.

### ლიტერატურა – Литература – References

- ბაკელია ნ. სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბილისი, 1997.
- ბაშუკელი ნ. გვარ "Hordeum"-ის ზოგიერთი წარმომადგენლის მარცვლის ცილების თვისებებების გამოკვლევა. სადისერტაციო მაცნე ბიოლ. მეცნ. კანდ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1994.
- ბრეგაძე ნ. მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში. თბ., 1969.
- ბრეგაძე ნ. საქართველო მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა. "საშობლო", თბ., 2004.
- დეკარელივიჩი ლ. შოთა რუსთაველის ეპოქის მინდვრის უმთავრესი კულტურები. "სრომა და ტექნიკა", თბ., 1938.
- ქეცხოველი, ნ. კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში. საქ. მეცნ. აკად. გამ.-ბა, თბ., 1957.
- მაისაია, ი., შანშიაშვილი თ., რუსიშვილი ნ. კოლხეთის აგრარული კულტურა. "მეცნიერება", თბ., 2005.
- მაკალათია ს. მესხეთ-ჯავახეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი). თბ., 1938.
- მინდაძე ნ. ქართული ხალხური მედიცინა. "მეცნიერება", თბ., 1981.
- მუნაბდე ვ. საქართველოს ქერები. სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილიალის გამ.-ბა, თბ., 1938.
- ორბელიანი სულხან-საბა. ქართული ლექსიკონი. ი. ყიფშიძის და ა. შანიძის რედაქციით. "ქართული წიგნი", თბ., 1928.
- მუნგელია ზ. სამკურნალო მცენარეთა კულტურა საქართველოში. "საბჭოთა საქართველო", თბ., 1983.
- წუწუნავა ნ. საქართველოს სამკურნალო მცენარეები. "საბჭოთა საქართველო", თბ., 1960.
- ჯალაბაძე გ. მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში. "მეცნიერება", თბ., 1986.
- ჯავახიშვილი ი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი I, "ქართული წიგნი", თბ., 1930.
- Декапрелевич Л.Л., Менабде, В.Л. К изучению полевых культур Западной Грузии  
- I Рача. Записки Научно-прикладных Отделов Тифлисского Ботанического  
Сада. Выпуск VI, Тифлис, 1929.

<sup>1</sup> N. Ketskhoveli Institute of Botany

<sup>2</sup> National Museum of Georgia, Department of Botany